ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 48

პარასკევი, 14 მარტი 1897 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ — ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1897

# ივერია

№ 48

პარასკევი, 14 მარტი 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ტფილისი, 13 მარტი.

მუქარა აღსრულდა. ეგრედ წოდებული „ბლოკადა“ განხორციელდა, ესე იგი, დიდთა სახელმწიფოთა შეჰკრეს კრიტის კუნძულის ნავთ-სადგურები და აღარ უშვებენ საბერძნეთის გემ-ხომალდებს აღარც იქით და აღარც აქეთ. დიდი ვაჟ-კაცობა არ უნდოდა, რომ თითქმის მთელს ევროპას ასე დაეჩაგრა პაწია საბერძნეთი და არცა გვგონია, რომ ეს ამბავი დიდი თავ-მოსაწონებელი და სასახელო იყოს იმ დიდ კრებულისათვის, რომლის თვითეულს წევრს ცალკე საბერძნეთი ულუკმადაც არ ეყოფა, როგორც ვეშაპს ბუზი.

ეხლა საკითხავი ეს არის: გათავდა ამით ის საშიშარი და განსაცდელიანი საქმე, რომელსაც აღმოსავლეთის საქმე ჰქვიან, თუ ეს „ბლოკადა“ რგუ და ეტლის თამაშია საპოლიტიკო ჭანდრაკის ფიცარზე? მახია, თუ მათი? ჩვენა გვგონია, რომ არც ერთია და არც მეორე. ეს მარტო დიპლომატიის ჩვეული ოსტატობაა: ნახეს ირდვევა კედელი და ხელ და ხელ შელესეს სხვისა და თავისის თავის მოსატყუებლად. დღევანდელი შიში და განსაცდელი ხვალისათვის გადასდეს და ეგ ხვალე, თვითონაც კარგად იციან, შორს არ არის, ძალიან და ძალიან ახლოა. პაემანი ქარ-ცეცხლის ატეხისა გადიდვა, მაგრამ ცეცხლი მაინც არ დაიშრიტა, ისევ იმ თივაშია დამალული, რომელსაც აღმოსავლეთის საქმეს ეძახიან, მხოლოდ ახალი ის არის ყოველ ამაში, რომ თუ სადმე გაჩნდა ცეცხლი, ეგრე ადვილად ვეღარავინ გააქრობს. მშვიდობის მოყვარემ დიპლომატიამ მარტო ეს შესძინა ქვეყანას, რომ თუ ამას იქით ატყდა რამე ოსმალეთის თაობაზე, უფრო მძვინვარე და უფრო საშინელი რამ მოხდება ევროპისათვის და რომ ატყდება, ამაზე ეჭვი არავისა აქვს და სხვათა შორის თვით დღევანდელ დიპლომატიასაც, რომელიც იმის ცდაშია ოღონდ დღეს კი ნუ და ხვალემ თავისი იცოდესო, ოღონდ დღეს ჩვენს ხელში ნურა მოხდება რაო.

ჩააფუჩეჩეს საბერძნეთის საქმე, რომელიც სხვას არასფერს არა თხოულობს გარდა იმისა, რომ ჰკითხეთ თვით კრიტელებს უნდა თუ არა ჩემთან შემოერთებაო და რასაც იტყვიან, ისე მოიქეცითო. რასაკვირველია, ძალა აღმართსა ჰხნავს და საბერძნეთსაც უთხრეს ენა გრძელი გაქვს და მოიკვნიტეო. ჯერ ხანად იქნება ჩააჩუმონ კიდეც, მაგრამ როდემდის? ვთქვათ, მართლა ხმა გააკმენდინონ საბერძნეთსა, თუმცა ძნელად საფიქრებელი-კია. მითამ ამით გათავდეს საქმე? მაკედონია? აქ კი ცოტა ასაფეთქი წამალია? ვინ უთავდებებს განცხრომილს დიპლომატიას, რომ კრიტის კუნძულზე ჩამქრალი ცეცხლი აქ, მაკედონიაში, არ იფეთქებს და მთელს ბალკანეთის კუნძულს ძირიდამ თხემამდე არ შესძრავს. სერბია, ბოლგარია, რუმინია, ჩერნოგორია და თვით საბერძნეთიც, რომელნიც მემკვიდრეობას ოსმალეთისას სჩემობენ, ხომ დაერივნენ ერთმანეთში და ერთი ხათაბალა ასტეხეს. ახლა დიდნი სახელმწიფონი აიღეთ, რომელთაც თავისი საკუთარი ჭირბოროტი აქვთ აღმოსავლეთის საქმეში და ყველა კაი ლუკმის გამოთლას მოელის, და ადვილად წარმოსადგენია რა ალიანქოთი და ვაი ვაგლახი ასტყდება, თუ კრიტის კუნძულზე შემჭვარტლულმა საქმემ მაკედონიაში ნაპერწკალი გადისროლა.

კრიტის კუნძულის და საბერძნეთის თავ-გამოდებულმა საქმემ ცხადად დაანახვა ქვეყანას, რომ თუმცა დიდნი სახელმწიფონი, რომელთაც პირში კაპი ამოსდეს საბერძნეთს, პირად ერთმანეთის სურვილით აღტკინებულნი არიან, მაგრამ გულში-კი ზოგიერთნი მათგანი ამ თანხმობის ფარდას იქით რაღაცას სცუდლუტობენ და ცეცხლის ჩაქრობა არ უნდათ. თუ ეხლა საბერძნეთის გამო ერთმანეთს დაჰყვნენ და მოურიგდნენ, —ეგ ჯერ კიდევ ბევრს არა ჰნიშნავს. აქ დათმობილი, სხვაგან იპოვის იმედს და მიზეზს მონასტრის არევ-დარევისას და, ჩვენა გვონია, არ არის შორს ის დროქამი, როცა ერთგან დაძინებული საქმე სხვაგან გაიღვიძებს უფრო საშინელის სახითა. ეს „სხვაგანი“ მაკედონიაა. მაშინ ვნახოთ, დიპლომატიას რა თავბრუ დაესხმის და როგორ დაიძვრენს თავს საშინელის თოფ-ზარბაზნის ჭექა-ქუხილისაგან.

აღარ გვახსოვს ვინა სთქვა, რომ აღმოსავლეთის საქმე იმისთანა საქმეა, რომელსაც გაცვეთილი გბილი დიპლომატიისა ვერ დაღეჭავსო. მართალიც არის. მხოლოდ წვრილმანი საქმენი შესაძლოა კანცელიარების გზით ასე თუ ისე გადასწყდესო და ისტორია მხოლოდ ამისთანა საქმეს აძლევს ხოლმე საცოხნავად დიპლომატიასაო. ხოლო იქ, საცა საქმე შეეხება სამსოფლიო ვითარებას, თვითონ ისტორია სდებს თავისს სამსოფლიოს განაჩენსაცე, და ამ განაჩენს თვითონვე წარმოსთქვამსო, სხვათა დაუხმარებლად, გარემოცული ჭექა-ქუხილთა, ვითარცა საბაოთ მამა სინაის მთიდამაო. აღმოსავლეთის საქმე ერთი ამისთანა სამსოფლიო საქმეა და დიპლომატიას სად შეუძლიან იგი გადასწყვიტოს!

## მთავრობის განკარგულებანი

უმაღლესი სახელ-დებული ბრძანება უმართებულესს სენატს.

კავკასიაში „ნამესტნიკობის“ გაუქმების შემდეგ, ჩვენის ღვთის მიერ განსვენებულ მშობლის სურვილისამებრ დამტკიცებულ იქმნა 1883 წელს 26 აპრილს აწ მომქმედი სამოქალაქო წესი კავკასიის მხრის მმართვა-გამგეობისა,

ვტოვებთ რა საზოგადო წესს ამა მმართვა-გამგეობისას, რასაც საგნად აქვს რაც შეიძლება მეტად დაახლოვოს კავკასია რუსეთთან და პირდაპირი კავშირი დაამკვიდროს ხსენებულ ქვეყნის ცალკე სამმართველოთა და ჯეროვან სამინისტროთა შორის, ჩვენ საკეთილოდ დავინახეთ იქაურ უმაღლესის უფლების წარმომადგენელს მივცეთ ნამდვილნი ღონისძიებანი, რათა ამ ქვეყნის სასარგებლოდ გამოიჩინოს კანონის მიერ მინიჭებული უფლება რევიზიისა და მეთვალყურეობისა, აღადგინოს სადაც საჭირო იქმნება, ძალა კანონისა, ადგილობრივ საადმინისტრაციო დაწესებულებათ ისეთი მიმართულება მისცეს, რომ მოვალეობა სამსახურისა აღასრულონ, და დაიცვას მისს მმართველობასა ქვეშე მყოფთა მშვიდობიანი წარმატება.

ამის გამო, მინისტრთა კომიტეტის დებულების თანახმად, ვბრძანებთ:

კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარ-მმართებელის უფლებათა და მოვალეობათა შესახებ დადგენილ იქმნას შემდეგი დროებითი წესები, იმ დრომდე, ვიდრე კანონ-მდებლობის წესით იქმნება გადასინჯული კავკასიის მხრის მმართვა-გამგეობის აწ მომქმედ დაწესებულების დადგენილებანი.

1) თუ კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარ-მმართებელმა დაინახა რამე უწესოება და ნაკლი კავკასიის საადმინისტრაციო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში, მოვალეა მტკიცე ღონისძიებანი მიიღოს ამ უწესოების მოსასპობლად და საქმის კანონისამებრ მდინარების აღსადგენად და ამასთანავე აცნობოს მინისტრებსა და ცალკე ნაწილების მთავარ-მმართველთ, კუთვნილებისამებრ.

2) საგანგებო შემთხვევაში მთავარ-მმართებელს შეუძლიან დაარღვიოს გუბერნიისა და ოლქის საადმინისტრაციო ადგილთა (კანონთა კრებ. ტ. II, 1892 წლის გამოცემა, საზოგადო საგუბერ. დაწესებ., მუხ. მე-14) და კავკასიის მხრის საზოგადოებრივ დაწესებულებათა დადგენილებანი და შემდეგ თავისი განკარგულება იმ საგნების გამო, რომელსაც შეეხებოდა მის მიერ დარღვეული დადგენილებანი, აღსრულებაში მოიყვანოს, თავისისავე პასუხის-მგებლობით, ისეკი, რომ მან, მთავარ-მმართებელმა, დაუყოვნებლივ აცნობოს უმართებულესს სენატსა და აუწყოს მინისტრებსა და ცალკე ნაწილთა მთავარ-

# ფელეტონი

## ნაწყვეტი.

შორს, შორს ჩემგან, მწყრებიანო,  
ჩინებ-ვარსკვლავებიანო,  
მე სხვა ქალი ნუ გგონივარ,  
თავ-ქარქაშა ჩხებიანო!..  
მუშა ვარ და მუშა მიყვარს,  
თვალნი მისით სტკბებიანო,  
გულ-გონებაც მისკენ ჰფრინავს,  
ფიქრნიც მას ევლებიანო!

დ. მაჩხანელი

## ჩვენი თეატრი და მისი ბედ-იღბალი.

(დასასრული *))

არა ნაკლებ სავალალოა სათეატრო საქმისათვის ის, რომ ჩვენის დრამატიულის ხელოვნების ლიტერატურა მეტად ღარიბია წარსულითა და აწმყოთი. დღემდის თ. გ. ერისთვის კომედიები უნდა საუკეთესოდ ჩაითვალოს ჩვენს დრამატიულს ლიტერატურაში. ეს-კი შეიძლება ითქვას, რომ ორიგინალურ პიესების წარმოდგენის შესახებ ეს სეზონი ჩვეულებრივს არა ჰგავს. წარმოდგენილ იქმნა ორი პიესა: ერთი სამ მოქმედებიანი კომედია ბ-ნ ლი—გ—ისა და მეორე სამ-მოქმედებიანი დრამა ბ-ნ ავ. ცაგარლისა. მართალია ბ-ნ ლი—გ—ის პიესა სუსტია, როგორც პირველი ცდა, მაგრამ ამასთანაც ღირსებაცა აქვს, რომელიც ნებას აძლევს ავტორს განაგრძოს ამ სფერაში შრომა და მუშაობა. მართალია ერთი მოთხრობა იმავე ავტორისა, რომელიც „მოამბე“-ში იყო დასტამბული გვიმტკიცებს, რომ ავტორის ნიჭს პროზის წერა უფრო ეხერხება, მაგრამ არც ეს კომედიაა მოკლებული ნიჭიერების ნიშანწყალს.

პირველი და უმთავრესი ღირსება ამ პიესისა ცოცხალი ენა და ხშირად ცოცხალი დიალოგებია, რაც სცენისათვის დაუფასებელია; ღირსება პიესისა ისიც, რომ ავტორმა ორიოდე ტიპი ხელოვნურად დაგვისურათა.

არტურ გასპარიჩ ზანციანი—ეს ღვიძლი შვილი გ. ერისთვის „ძუნწისა“, დროისა და გარემოების შესაფერად ტყავ-გამოცვლილი, გაიძვერა. იგი თავისს წინაპარსავით ფულის მალმერთებელია, ფულის, ამ ეხლანდელის დროის ღმერთის უერთგულესი მორწმუნე. კარგადა ჰყავს ავტორს დასურათებული კოხტა და ცქრიალა ნინო, სიცოცხლით აღსავსე ადამიანი, რომელმაც ყოველ გარემოებაში იცის როგორ უნდა მოიქცეს და ყოველსავე გარემოებას ხერხიანად და რიგიანად ჰხმარობს; მიხეილ ბაჭუტაძე—გაკოტრებული თავადიშვილი, რომელიც შულერობასაც-კი არ მორიდებია თავისის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და სიმდიდრის შესაძენად, საბრალო ქალის გაუბედურებასაც არ უშინდება. ძალიან მოხდენილი ტიპია „ერთი პატივცემული კნეინაც“, რომელიც დატრიალებს და დარბის, იქნებ ვისმე რამე წაჰგლიჯოს რაიმე საქველმოქმედო აზრით. ორი-სამის სიტყვით ცოცხლად არის დახატული ეს ჩვენი ცხოვრების წარმოშობილი ტიპი.

ნაკლულევანებად უნდა ჩაითვალოს იგი, რომ ვერ არის სიუჟეტი კარგად შემუშავებული. სიუჟეტი დრამატიულია და, როგორც პირადად ჩვენ ვიცეთ, უწინ ავტორსაც ამისდა მიხედვით ჰქონია იგი შემუშავებული, ეხლანდელს მის ვარიანტში-კი უფრო ვოდევილსა ჰგავს, რადგან უკანასკნელი მოქმედება სწორედ ვოდევილის ფერსა სდებს ამ კომედიას.

დრამატიულს ხელოვნების ტეხნიკის მხრივაც ეტყობა ავტორის გამოუცდელობა, რადგან ადგილადგილ გაჭიანურებულა სცენები და სრულიად უმნიშვნელო ელემენტებია შერეული. (მაგალითებრ, სცენა გლეხისა და გლეხი-კაცის ქალისა, თუმცა ლამაზი სცენაა, უადგილოა).

არ შეიძლება არ ვუსაყვედუროთ ავტორს ისიც, რომ ორი უფრო საინტერესო ტიპი ამ პიესისა ორი ახალგაზდა (ლევან ანდუყაფარიძე და კოტე მარაძე) ჩრდილში დააყენა.

ჩვენ ახალგაზდათა სულის კვეთების გამოხატვა, მათი ამა თუ იმ გარემოებათა შორის მოქმედება, შებრძოლება ამა გარემოებასთან და ამ ბრძოლაში მათის ხასიათის დასურათება მეტად მიმზიდველს საგანს უნდა შეადგენდეს ჩვენის ლიტერატორებისათვის. თუ ამას გაურბიან, უთუოდ საგნის სიდიადისა ეშინიანთ და ან ძალი არ შესწევს საგნის სავსებით დახატვისა, ხოლო ის-კი არ შეგვიძლია მივიღოთ მხედველობაში, ვითომ ჩვენს ცხოვრებას არ შეექმნა ინტელიგენტთა ტიპი. ნუ თუ ხშირი არ არის ჩვენში ახალგაზდა ინტელიგენტი, რომელიც პირველში მაღალს იდეალებით გატაცებული ყოფილა და ბოლოს ცხოვრების სიბეჩავეს თუ ჩაუთრევია მორევში, რომ, ინტელიგენტის-კი არა, ადამიანის სახეც-კი დაუკარგავს? ნუ თუ ცოტაა ჩვენში ინტელიგენტი, რომელსაც სასტიკი ბრძოლა ცხოვრებისათვის იდეალად დაუსახავს და სრესს ყველას ამ პრინციპით წარწერილ დროშით ხელში? ნუ თუ ცოტაა ინტელიგენტი, რომელსაც თავისის გარყვნილის ბუნების გასამართლებლად პესსიმისტიური ცინიზმი სარწმუნოებად ულვიარებია და მის ქურუმად გამხდარა? და ბოლოს განა ცოტაა ჩვენში ახალგაზდა ინტელიგენტი,

*) იხ. „ივერია“, № 46.

მმართველთ, კუთვნილებისამებრ, ის მიზეზნი, რომლისა გამოც მან ასეთი ღონისძიება იხმარა.

3) თუ გამოძიებამ გამოააშკარავა არა კეთილ-საიმედობა, თუ რომელსამე უწყებაში ცხადი ბოროტ მოქმედებაა და საზოგადოდ შესანიშნავსა და ისეთს შემთხვევაში, რომლის დროსაც ცდა არ შეიძლება, მთავარ-მმართებელს, უწესოების მოსასპობლად, უფლება ეძლევა დაუყოვნებლივ გადააყენოს თანამდებობიდგან, დადგენილ წესით დათხოვნამდე, კავკასიის საადმინისტრაციო უწყებათა და საზოგადოებრივ დაწესებულებათა-თანამდებობის მქონენი, ცალკე ნაწილთა მმართველობისა, მაზრისა და გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლთა და იმ თანამდებობის მქონეთა გარდა, რომელებიც ნაჩვენებია მთავრობის მიერ გამწესებულ სამსახურის წესდების მე-169 მუხ. (კანონ. კრებ., ტ. III, 1896 წ. გამოც.).

4) იმ თანამდებობის მქონეთა სამართლის პასუხის-გებაში მიცემის მხრივ, რომელთა თანამდებობიდგან გადაყენების უფლებაც, ამავე წესების მე-3 მუხ. ძალით, მინიჭებული აქვს მთავარ-მმართებელს,—იგი სარგებლობს იმ უფლებანით, რომელიც ნაჩვენებია 1880 წლის 22 სექტემბერს უმაღლესად დამტკიცებულ გუბერნიის დროებით დასათვალიერებლად დანიშნულ სენატორთა უფლებათა და მოვალეობათა შესახების ბრძანების მე-2 ა პუნქტში, ხოლო მაშინ-კი, როდესაც ყოველი გარემოება საქმისა განხილულ იქმნება მთავარ-მმართებელის საბჭოს მიერ.

5) მთავარ-მმართებელს ნება ეძლევა, როდესაც ამას საჭიროდ დაინახავს, კავკასიის საადმინისტრაციო უწყების ცალკე ნაწილთა მმართველთ მოსთხოვოს, რომ მას წარუდგინონ განსახილველად განზრახვა თვისი ამა თუ იმ თანამდებობაზედ ვისისამე გამწესების შესახებ, თუ ამ თანამდებობაზედ მოხელეთა დანიშვნის საქმე არსებულ წესით იმათს უფლებას შეადგენს.

6) ამ წესების მე-1—5 მუხლ. მოხსენებულ საადმინისტრაციო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა შესახებ დადგენილებათ არ ექვემდებარებიან სახელმწიფო კონტროლისა და სახელმწიფო ბანკის დაწესებულებანი და ამ დაწესებულებათა თანამდებობის მქონენი.

7) იმ უფლებათა გარდა, რომელიც მოხსენებულია კავკასიის მხრის მმართვა გამგეობის დაწესებულებათა მე-26 მუხ. და მე-27 მუხლის 1 და 2 პუნქტ. (კანონთა კრებ., ტ. II, 1892 წ. გამოც.), მთავარ-მმართებელს ნება ეძლევა ცხოვრება აღუკრძალოს კავკასიის მხრის რომელსამე ადგილას და საზოგადოდ ამ ქვეყანაში იმათ, რომელთა იქ ყოფნაც მის მიერ მავნებლად იქმნება დანახული, ხოლო მაშინ-კი, როდესაც ყოველსავე გარემოებას ამა საქმისას განიხილავს მთავარ-მმართებლის საბჭო.

უმართებელესი სენატი ნუმცა დააყოვნებს ამის აღსასრულებლად ჯეროვან განკარგულებათა გაცემას.

ნამდვილს მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია:

„ნიკოლოზი“.

ცარსკოე სელო.
3 მარტი 1897 წლისა.

# ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მართებელი, გენერალ-ადიუტანტი თავადი გრიგოლ სერ...ის ძე გოლიცინი კავკავიდგან წამობრძანდა 12 მარტს, დილის 10 საათზედ. ყაზბეგის სადგურზედ მისს ბრწყინვალებას მიეგებნენ ტფილისის გუბერნატორი თავ. გ. დ. შერვაშიძე და ადგილობრივნი პოლიციის მოხელენი. სადგურს მლეთში მისი ბრწყინვალება ჩამობრძანდა იმავე დღის საღამოს 7 საათზედ და ღამე აქ დარჩა. მლეთიდგან იგი წამობრძანდა გუშინ, დილის 8 საათზედ.

მცხეთაში მთავარ-მართებელს მიეგება ტფილისის მაზრის უფროსი, თავ. ლ. გ. ჯანდიერი, ხოლო სოფ. მუხათგვერდის მახლობლად სამის საზოგადოების მამასახლისებმა პურ-მარილი მიართვეს მისს ბრწყინვალებას.

საბურთალოსთან, ნაშუადღევის $4^1/_2$ საათზედ, მისს ბრწყინვალებას დახვდნენ მთავარ-მმართებლის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი გენერალ-ლეიტენანტი თ. ი. გ. ამილახვარი, ტფილისის კომენდანტი ი. ნ. რეიტერი, ტფილისის პოლიცმეისტერი ლ. პ. მასტიცკი, ვიცე-გუბერნატორი კ. კ. სტეფანოვიჩი, ქალაქის მოურავი ივანენკო. სხვა-და-სხვა წოდებათა წარმომადგენლებითურთა აქ ბ-ნმა ივანენკომ პურ-მარილი მიართვა მისს ბრწყინვალებას ვერცხლის სინით და მცირე სალამი მოახსენა, ხოლო კნეინას მიართვეს თაიგული.

ამ დროს, საბურთალოდგან დაწყებული ოლგას ქუჩასა და გოლოვინის პროსპექტზედ სასახლის ქუჩამდის გამწკრივებულნი იდგნენ ჯარი და გიმნაზიებისა რეალურ და იუნკერთა სასწავლებლების და კადეტთა კორპუსის მოსწავლენი.

თავადი გ. ს. გოლიცინი ეტლითვე წაბრძანდა სიონის ტაძარში, რომლის შესავალთანვე მიეგება მისი ყოვლად მაღალ უსამღვდელოესობა, საქართველოს ექსარხოსი ვლადიმირი და სიტყვა უთხრა, რომლის პასუხადაც მისმა ბრწყინვალებამა სთქვა, რომ: „ვითარცა მართლ-მადიდებელი ქრისტიანე, სასოება მაქვს უფლისა და მისის შეწევნისა, რომ შევიძლო აღსრულება ჩემდამო რწმუნებულ დიდად რთულ საქმისაო“.

სიონში თავ-მოყრილნი იყვნენ ტფილისის ყველა მოხელენი, სამხედრო და სამოქალაქო წოდებისანი. მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ საქართველოს ექსარხოსმა ვლადიმირმა, ქალაქის სამღვდელოების თანა შეწევნით, მცირე პარაკლისი გარდაიხადა.

პარაკლისის შემდეგ მისი ბრწყინვალება მეუღლითურთ წაბრძანდა სასახლემდე, ხოლო აქ სასახლის წინ დახვდა საპატიო დარაჯი იმ გრენადერთა რაზმისა, რომლის უფროსად ყოფილა წინად მისი ბრწყინვალება.

ამის შემდეგ თავადი გ. ს. გოლიცინი შებრძანდა სასახლეში, რომლის კარის ეკკლესიაშიაც კვლავ პარაკლისი იქმნა გარდახდილი.

საღამოზედ სასახლის წინ და ალექსანდრეს ბაღი გაჩირაღდნებული იყო.

დღეს, დილის 10 საათზედ, მისს ბრწყინვალებას წარუდგებიან სხვადა-სხვა უწყების მოხელენი.

*** როგორც გუბერნიის მმართველობის საექიმო განყოფილების ცნობიდგანა სჩანს, ტფილისში 1—8 მარტამდის წითელათი ავად გამხდარა 17 კაცი, ქუნთრუშით 5 და შავის სახადით 1.

*** ჩვენი ქალაქის გამგეობას იმავე გამგეობის წევრ ქ. ა. ვერმიშევისათვის დაუვალებია, რომ ტფილისის ცხენის რკინის გზის საზოგადოების წიგნები გადასინჯოს და გაიგოს, ამ უკანასკნელ 5 წლის განმავლობაში ხსენებულ საზოგადოებას რამდენი შემოსავალი ჰქონია. ეს ცნობები გამგეობისათვის საჭიროა, რომ იხელმძღვანელოს, თუ ქალაქი ცხენის რკინის გზას გამოისყიდის საზოგადოებისაგან. ხოლო, როგორც საზოგადოების დირექტორმა აუწყა გამგეობას, ქალაქის თვით-მმართველობის განცხადება გზის გამოსყიდვის შესახებ, ბრიუსელში გაუგზავნიათ განსახილველად.

*** „ტიფ. ლისტ.“-ის სიტყვით, ხვალ, 15 მარტს, ქალაქის გამგეობის მოსამსახურენი შემოსაღებად განზრახულ საპენსიო კასის წესდების პროექტს განიხილვენ. ეს პროექტი ამ რიგად არის შედგენილი: ქალაქის შემოსავლიდგან კასის სასარგებლოდ ყოველ წლობით 8000 მან. გადაიდება და ამასთანავე იმ მოსამსახურეთ, რომელთაც უფლება ექმნებათ,—კასით ისარგებლონ, თავიანთ ჯამაგირიდგან ყოველ წლობით 5% უნდა შეიტანონ ამ კასაში. ჯამაგირის ოდენი პენსია იმ წევრთ მიეცემათ, ვინც გამგეობაში 25 წელს იმსახურებს; ხოლო ნახევარ ჯამაგირის ოდენი იმათ, ვინც 20 წელს იმსახურებს.

*** იმავე გაზეთის სიტყვით, გუნიბის მოედანზედ, სამხედრო ტაძრის მახლობლად, ბაღი უნდა გაშენდეს, ეს საქმე ერთის აქაურის მებაღისა თვის მიუნდვიათ.

*** ქალაქის სასანიტარო-საექიმო საბჭოს ინსპექტორი ექიმი სტეფანოვი ქალაქის ყველა ექიმთ შეეკითხა, 17 მარტამდის მაცნობეთ,—ვის ჰსურს შავის ჭირის შესახებ სახალხო ლექციების კითხვაში მონაწილეობა მიიღოსო და ვის შეუძლიან, ლექცია აქაურს ენებზედ წაიკითხოსო.

*** „ნოვ. ობოზ.“-ის სიტყვით, თავად-აზნაურობის თეატრი ბ-ნთ გუნიას და მესხს იჯარით სამის წლის ვადით-კი არ აუღიათ, არამედ ერთის წლით.

*** გაზ. „პრიაზ. კრ.“-ის სიტყვით, კავკავის რკინის გზის საზოგადოებას მთელი კავკასიის დიდი რუკა შეუდგენია. ამ რუკაში მოთავსებულია ეკატერინოსლავისა და ასტრახანის გუბერნიები, დონის ოლქი, ჩრდილო კავკასია, კაკვკასიის აქეთა მხარე, ამიერ კასპის მხარე და შავი ზღვის რამდენიმე ნაწილი. რუკას შემდგენელთ უმთავრესი ყურადღება იმ ადგილებისთვის მიუქცევიათ, სადაც ხსენებულ საზოგადოების გზა არის გაყვანილი ანუ მომავალში იქმნება გაყვანილი.

*** 12 მარტს, ღამით, ერევნის მოედანზედ ქალაქის გამგეობის სალიმონადე ფიცრის ფარდულს ვიღამაც ცეცხლი მოუკიდა და ცეცხლის მქრობ რაზმმა ჩააქრო. ეს ფარდული პირველ გილდის ვაჭარს ალექსანდრე აკოფოვს აქვს იჯარით აღებული.

*** 12 მარტს, საღამოს 5 საათზედ, სიონის ქუჩაზედ, მე-2 გილდის ვაჭარ გიორგი ჯმუხაძის მაღაზიიდგან კარებთან გამოფენილი შემდეგი ნივთები მოიპარეს: 5 ხვევა მასრა, 6 მან. ღირებული, ბავშვის ხმალი, 5 მან. ღირებული და ბავშვის ხანჯალი ოთხ აბაზად ღირებული, ერთი ამ ნივთების მომპარეველთაგანი პოლიციამ უკვე შეიპყრო. იმან თავის თავს სარქის ზაქარიას ძე ანტონოვი უწოდა. ის ქურდობისათვის წინაზედაც ყოფილა პასუხის-გებაში და ციხეშიაც მჯდარა. ანტონოვმა სთქვა, რომ მოპარული ნივთები ჩემს ამხანაგს მარტიშკა ნუბაროვს მივაბარეო.

*** 12 მარტს გნერალ-მაიორის ქვრივმა, დარია გულბაათის ასულმა შალიკოვისამ, პოლიციაში გამოაცხადა, რომ 11 მარტს, ღამის 11 საათზედ, ეტლით სახლში დავბრუნდიო (ბაღის ვიწრო ქუჩაზედ, ალელო-

---

რომლის ცხოვრებაც უდიადესი დრამის საუკეთესო სიუჟეტად გამოდგება. ინტელიგენტი საზოგადო ცხოვრების უვარგისობისა და უმნიშვნელობისაგან გულ-მოკლული და სამუდამოდ დატანჯული? განა ცოტაა ისეთი, რომელიც ცრემლს აფრქვევს თავისის უბედობის გამო, რომელსაც რასაკვირველია, კიდევ და კიდევ საზოგადო სარჩული უდევს? ნუ თუ ცოტაა ინტელიგენტი, რომელსაც მრავალი კეთილი სწადდა და დღესაც სწადიან თავისის სამშობლოსათვის და რომლის სიცოცხლეც მოშხამულია, რომ ამ კეთილისათვის ვერ მიუღწევია, რომელიც დასტირის თავისს სიცოცხლეს უმნიშვნელოდ დაკარგულს და უარარაოდ გამქრალს. განა ცოტაა ინტელიგენტი, რომელიც კერძო და საზოგადო მწუხარებით ისეა დატანჯული, რომ სიამოვნებას აღარას ჰფიქრობს და თავგანწირული ელის სიკვდილს, ერთადერთს ნუგეშს და მომასვენებელს ტანჯულთათვის? მიბრძანდით საზოგადოებაში, დააკვირდით ჩვენს ახალგაზდობას და ჰნახავთ, რომ რაც უნდა მხიარული იყოს იგი, თვალებში და შუბლზედ მაინც ღრმა მწუხარების ბეჭედი ასვია, ჩაუკვირდით მიზეზს ამ მწუხარებისას, შეიგნეთ მიზეზი, რის გამოც ეს ახალგაზდათა რაზმი უდროოდ დაბერებულა და დაბეჩავებულა და მაშინ დამეთანხმებით, რომ უკეთესი სიუჟეტი დრამისათვის, როგორც დღეინდელი განათლებულის, რიგიანის ყმაწვილის კაცის სულის მდგომარეობაა, ძნელად მოიპოვება. მაგრამ სადღაა და როდის გამოჩნდება მწერალი ჩვენის დროის ახალგაზდათა სულის მწუხარების გამომსახველი, მათის სულიერის ბრძოლისა და გულ-მომწყვლელ სევდის დამასურათ-ხატებელი? ნუ თუ ისე ჩაინთქება საუკუნის მორევში ეს ახალგაზდობა, რომ ერთს კაცს ვერა ჰნახავს, მისის მრავალგვარი სურვილისა, იმედისა და სასოწარკვეთილების გამომხატველს, მისის გრძნობების შემგნებელსა და მისის ტანჯვების თანამგრძნობელს?!.

ბ-ნ ავქ. ცაგარელი, „ხანუმა“-ს ავტორი ცნობილია ჩვენში, როგორც კომედიების მწერალი და ხშირად ისეთი ტიპები დაგვიხატა ამ კომედიებში, რომლებიც კიდევ დიდ ხანს მიიზიდვენ საზოგადოების ყურადღებას. ხოლო ეხლანდელი მისი დრამაკი უსუსტესთა შორის უნდა ჩაითვალოს. დრამას ეტყობა, რომ სცენის მცოდნე ადამიანისაგან არის დაწერილი, ეტყობა, რომ ავტორს სცენის ეფექტები კარგადა აქვს შესწავლილი და ისიც უნდა დავუმადლოთ ავტორს, რომ დრამა გაჭიანურებული არაა. მაგრამ ყოველივე ამის გარდა „გულჯავარი“ მაინც დრამა არ არის. დრამას აზრადა აქვს ბრძოლა გამოხატოს ხასიათისა ხასიათთან, ხასიათისა სხვა-და-სხვა გარემოებასა და პირობასთან, აზრადა აქვს დაგვანახვოს ადამიანის თვისებების შებრძოლება, მოვალეობისა და სხვა და-სხვა გრძნობის შეტაკება გვაჩვენოს, ავტორმა ეს კარგად იცის და რამდენიმე მომენტი აიღო ასეთის. ბრძოლისა, მაგრამ ბრძოლის დასაწყისი გვაჩვენა და ბოლოს კუდი მოაჭრა, აღარც ბრძოლა გამოვიდა და აღარც კინკლაობა.

შურისძიებით სავსე ლეკის ქალი გულჯავარ სიყვარულითა ჰხიბლავს ორ ქართველ თავადიშვილს, ორ მეგობარს ლევანსა და რამაზს, უნდა ორივე თავისი აზრის განხორციელებას ანაცვალოს—ირაკლი მოაკვლევინოს და სისხლი აიღოს.

დრამატიულის ბრძოლის საგანი არის ლევანის მდგომარეობა: ქალისაკენ სიყვარული იწვევს, ხოლო მოვალეობა მამულიშვილისა ირაკლის ერთგულებას ურჩევს. ამ ბრძოლაში რომ არის ლევანი და მაყურებელიც გატაცებულია, აბა რით გათავდება ეს ბრძოლაო, ამ დროს ძველი deus ex maehina გაჩნდება; გამოდის ლევანის აღმზრდელი კაცი და გულჯავარის უსაქციელობას დაუმტკიცებს, დაარწმუნებს, რომ ქალი რამაზსაც ეტრფიალებაო. ეს ლევანს ქალზედ გულს ააყრევინებს და უეცრად დრამატიული ბრძოლა წყდება. მეორე მომენტი იყო კიდევ სადრამო, ეს ლევანის შურისძიებისა და მეგობრულის გრძნობის შეტაკება. ლევანი შეიტყობს, რომ ჩემს მეგობარსაც უყვარს გულჯავარიო. აღშფოთდება, მაგრამ მეგობრული გრძნობაც ასე ადვილი გამოსამეტებელი არ არის. ამითაც შეეძლო ესარგებლნა ავტორს, მაგრამ ეს გარემოება სულ უყურადღებოდ დაუტოვებია.

დრამა თავდება გმირთა მიერ თავის მოკვლით, რაც დაჩლუნგებული იარაღია სერიოზულის გრძნობების აღსაძვრელად. თავიდგან ეს დრამა მაყურებელს აინტერესებს, ხოლო ბოლოს სასოწარკვეთილებას მოჰგვრის და სრულიად უკმაყოფილოს, თითქმის გაჯავრებულს ატოვებინებს თეატრს, რადგან მოლოდინი არ გაუმართლდება. სამწუხაროა, დავსძენთ კიდევ, რომ ავტორმა უფრო კარგად არ შეიმუშავა საინტერესო სიუჟეტი. ეს კი უნდა ითქვას: რაც უნდა კარგი ყოფილიყო დრამა, ჩვენმა მსახიობებმა ისე საძაგლად აღასრულეს, რომ ვერაფრად იმოქმედებდ საზოგადოებაზედ.

ამ გვარს მდგომარეობაშია წრევანდელი ჩვენი თეატრის საქმე. ვიქონიოთ იმედი, რომ ახლო მომავალში გაუმჯობესდება ეს მდგომარეობა: უნდა ვიქონიოთ, თუმცა შეიძლება ამ იმედს ცოტა საფუძველი ჰქონდეს, და სასოწარკვეთილებას არ მივეცეთ. უნდა ვიქონიოთ იმედი, რადგან უიმედო ცხოვრება შეუძლებელია,

კიტა აბაშიძე

ვის სახლში). მეეტლეს ფული მივეცი და გავისტუმრეთ. შემდეგ აღმოჩნდა, რომ იმ ეტლში ხუთ თუმნად ღირებული პალტო დამრჩა, ხოლო ეტლის ნომერი არ ვიცით. მეეტლეს საპოვნელად ღონისძიებანია მიღებული.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ს. კარალეთი.** (გორის მაზრა) რაც უფრო ხანი და დრო გადის, ჩვენი სოფლის ყოფა-ცხოვრება, როგორათაც ქართლის მომეტებულ სოფლებისა, სულ უფრო და უფრო უკან მიდის. მიზეზი ორია: პირველად მიწის წარმოუდგენელი სიმცირე, მისი გაუნოყიერება და მეორედ უვიცობა, გაუნათლებლობა. უმეტეს ნაწილად გორის მაზრის შუაგულ სოფლებში და ერთობ ტირიფონის მინდორზედ სცხოვრობენ დროებით ვალდებული გლეხები, და ყველამ იცის ვგონებ, რომ გლეხთა სხვა-და-სხვა წოდებაში, ხიზნების შემდეგ, ამათი მდგომარეობაა უნუგეშო და სავალალო. ბატონ-ყმობის მოსპობის შემდეგ ყველა დროებით ვალდებული გლეხის ოჯახმა მიიღო ნაბატონებისაგან—ათი დღიური სახნავი მამული (ნადელი). ყველამ მიიღო-მეთქი რომ ვამბობ, ეს მართალი არ არის: თუმცა ბევრმა მიიღო, მაგრამ სადაც მცირე მამულის პატრონი მებატონე იყო, იმას თავისთვისაც არა ჰქონდარა და ნაყმევს რაღას მისცემდა, ან თუ რამე ჰქონდა, კანონის ძალით თითონ დაიტოვა. ჩვენში, რადგან დიდ მემამულე ბატონთან ჰქონდა გლეხებს საქმე, ყველამ მიიღო ხუთ-ხუთი დესიატინა, მაგრამ გავიდა ხანი და ჟამი მიწის დარიგების აქეთ და დღეს თითო მაშინდელი ოჯახი ახლა 2—10-მდე იქცა, დღეს ბევრს ოჯახს დღიური ძლივს უჭირავს. ახლა თქვენ თითონ მიხვდით, შესაძლოა თუ არა, რომ ერთი დღის ჩვენებურმა მამულმა ერთი ოჯახი შეინახოს, სადაც იქმნება ხუთი ექვსი და მეტი სულიც მოიპოვება? ამისათვის ჩვენი დიდი მემამულეები შენდებიან, რადგან სანახევროდ, სამესამედოდ სამეოთხედოდ ნაკლებად ხომ არავის მოაჭკნევინებენ, იმდენი მოსავალი აღარ მოგვდის, რომ არამც თუ გავყიდოთ რამე, არამედ ჩვენთვისვე ვიმყოფინოდ.

ღვინო თუ მოგვდის რამე, ისიც წყლის ფასად იყიდება, რადგან დაავადმყოფდა Mildiu და Oidium-ით და ვაზის წამლობა ხომ ჩვენთვის ისეთი ხელ-მიუწდომელია, როგორც მიწიდგან მარსამდე რკინის გზის გაყვანა. რადა და, ხელ-მოკლეობის გამო. თვალი დაუდგეს ჩვენ ბედს, ვინ არ იცის, რომ გაჭირვება ძნელი ასატანი აღარ არის ხოლო მაშინ, როდესაც მანუგეშებელი გვყავს ვინმე, მაგრამ ჩვენთვის ნუგეშის სამაგიეროდ ყველას წაკვრა-წაგლეჯა უყვარს. ისეთს გულზედ ვართ, რომ ლამის ამ მცირე ნადელზედაც უარი ვთქვათ. რადგან მისი შესატანი ხარჯი თავისი „ნედოიმკებით“ დღეს ჩვენთვის აუტანელი გამხდარა. თებერვალში შემოგვესია რაზმი „ჩაფრებისა“ და მტვერი აგვადინა ზურგზედ. ჯანდაბას რომ ხეირიანად და სამართლიანად გვექცეოდნენ, მაგრამ „ჩაფრების კავალერია“ ხოლმე ნადელების ფულის აკრება და ჩვენთვის მწარე დღე, იმათ მიუდგებიან ხოლმე რამდენიმე სოფლის „სათოკე“ ადამიანი და გამოაქვთ ვისგან ღვინო, ვისგან პური, ქათამი, ბატი, შეიყრებიან ერთ-ერთ მაღალ სახლში, ქუდს ჭერში ისვრიან და დასცინიან ჩვენს სილაჩრესა და გაუბედაობას. ჩვენ რაღა გაუბედოთ ამ „ხემწიფის კაცთ“, როცა მათი ისე გვეშინია, როგორც ჯოჯოხეთის მთავარ ტარტაროზისა. აი როგორ დაგვარბიეს წრევანდელ ნადელის ფულის მოკრებაზედ, ყველა ეს გამოცხადებული გვაქვს მომრიგებელ-მოსამართლესთანაც და მაზრის უფროსთანაც და ვნახოთ როგორ გათავდება ეს საქმე.

ნაკლები გაჭირვება არ გვადგია ახლა „ჩაფრის ფულის“ მოკრების დროს. ჰკრებავენ მარა რასა ჰკრებავენ, ანუ რამდენს, ეს ყველასათვის საიდუმლოა. მთელმა სოფელმა უნდა გაიღოს ექვსი თუმანი, ეს-კი იცის ყველამ, მაგრამ ხარჯის ამკრებთ არც სია აქვთ შედგენილი, რომ იმის და გვარად აკრიბონ. არც ფულის მიღების ბარათს აძლევენ ვისმე; დათარეშობენ სოფელში, და ვისზედაც რამე უსიამოვნება მოაგონდება „ჩაფრის“ ფულის ამკრებს ახლა გაიხსენებს ყველას, და ისე იგლეჯს იმ ოჯახს „როგორც გრაკალს“.. სად არის მამასახლისი, არავინ ვიცით, თორემ ის მაინც მოხედავდა ჩვენს გაჭირვებას. რა ამ ფულის ბარათებს, არც არა საკომლო ფულის ბარათებს გვაძლევენ ხოლმე „ბოიჩიკები“; თუ მოვთხოვთ „ბუნტოვჩიკებს“ დაგვარქმევენ და გვიჩივლებენ.

ამ სამის წლის წინად გორის მაზრის „პოდატნოი ინსპექტორმა“ ბ-ნმა ასოცკიმ შემოიღო პატარა წიგნაკები, რომელიც დაურიგდა ყველა მეკომურს; ამაში ფული გადაგვხდევინა, რასაკვირველია. ამ წიგნაკებში უნდა დაბეჭდილიყო ყოველივე ფული, რომელსაც გადიხდიდა მეკომური. ერთს წელიწადს-კი როგორც იყო ჩაგვიწერეს, რევიზია არ მოახდინოს ასოცკიმაო, და მას აქეთის ის წიგნაკები შარშანდელ „ბოიჩიკთან“ ჰყრია და ვინ არის მკითხველი?

ამ თვის თხუთმეტში უნდა მამასახლისის არჩევნები მოხდეს და ყველას ისევ ძველებური მამასახლისი გვინდა ამოვირჩიოთ. რა შეგვემატა „ნასწავლი“ მამასახლისის არჩევით, ფრჩხილის ტოლაც არა სჩანს რა. ეს იყო, რომ კომლზედ მანეთ ნახევარს გამლევდით შვიდი სოფელი, რაც ათას მანეთამდე დგება, და სამაზრო სამმართველოსთან ქაღალდები შნოიანად იწერებოდა ბლანკებზედ... და ყველა ამის გარდა, ისევ რბევა, ისევ ტანჯვა ჩაფრებისაგან და სოფლის ,,სათოკე კაცებისაგან'', რომელთაც უფრო თავი წაიჭამეს. ვნახოთ, რას მოგვიტანს არჩევნები?..

Basile de Karaletie.

## სასამართლოს მატიანე

—

გუშინწინ, 12 მარტს, ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა ლავრენტი სოლომონის ძის ჩიტაძის საქმე, რომელსაც ბრალდებოდა, ვითომც ყმაწვილი ქალი შეეცდინოს, შეჰპირებოდეს, რომ ცოლად შევირთავო. სასამართლომ განიხილა-რა საქმის გარემოება, ჩიტაძე უდანაშაულოდა სცნო და სრულიად გაამართლა.

—

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ახალ მიმოხილვის რედაქტორად ნამყოფის ბ-ნ უსპენსკის საკასაციო საჩივარი ბ-ნ პ. პლიუშჩევსკის წინააღმდეგ, რომელიც უსპენსკის დიფამაციის ბრალსა სდებდა, უმართებულესს სენატს არ შეუწყნარებია.

—

თავ. ი. ზ. ტუსიშვილის ვექილის ბ-ნ ოპოჩინინისა და გლ. პ. ბიძინაშვილის საჩივარი ეკატერინე პამპალოვის ქალის მოტაცების საქმის შესახებ უმართებულესს სენატს არ შეუწყნარებია.

## უცხოეთი

—

**კრისპის აზრი აღმოსავლეთის საქმის შესახებ.**

ოსმალელთა ევროპაში ყოფნაო, ასე იწყებს კრისპი თავისს წერილს, საერთა შორისო უფლების შეურაცხყოფაა. ოთხ-ნახევარ საუკუნის განმავლობაში მათ ვერ მოახერხეს გაევროპიელებულიყვნენ. ვერ მოახერხეს გაეერთიანებინათ სხვა-და-სხვა ტომის ხალხი, რომელთაც ოსმალეთის ბრძანებლობა, როგორც წინედ, ისე ამ ჟამადაც, სულს უხუთავს. ოსმალელთ ვერაფერი ლიტერატურა ვერ შექმნეს და უცხო ხელოვნება ხომ, რომელიც საზოგადოდ ცხოვრებას ამშვენებს, ამ წყეულს ქვეყანაში არც-კი გაჩენილა. ყოვლად შეუძლებელია, რომ იქ საზოგადო წეს-რიგიანობა დამყარდეს: ერთსა და იმავე ქალაქში, თუ-კი შეიძლება იმ ადგილს ქალაქი უწოდოთ, საცა რამოდენიმე ტალახიანი და აშმორებული სახლია შეჯგუფული და რომელთაც დრო გამოშვებით მხოლოდ ცეცხლი ასუფთავებს, —თავმოყრილნი არიან ბერძნები, სლავიანები, რუმინები და ალბანელები, რომელთაც არავითარი საერთო ცხოვრება არ ასულდგმულებთ და რომელთაც ერთმანეთი თვალის დასანახად ეჯავრებათ, ყველა ამათ ბატონად აზის კისერზედ მოუხეშელი ოსმალი, რომელსაც ისლამის მოძღვრება ბეჯითად სწამს,—შეიძულე და ნუ დაჰზოგავ ქრისტიანეთაო.

აბდულ-ჰამიდი, ბიწიერებისა და შიშით შეპყრობილი, ყოველ ღონისძიებას მოკლებულია,—თავის ქვეშევრდომ ერთა მართვა-გამგეობა გააუმჯობესოს, რადგან ყორანში ყოველთვის იპოვის ისეთს სტრიქონს, რომელიც ქრისტიანეთა შესახებ სასარგებლო ცვლილებათა წინააღმდეგია. საქმის ასეთს ვითარებას დასასრული არა აქვს, რასაც დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკურ ინტერესების ერთი მეორესთან შეხალებაც დიდად ხელს უწყობს. მე არ ვიცი, რა არის მოხსენებული საფრანგეთ-რუსეთის ხელშეკრულობაში. მე მხოლოდ მოვაგონებთ, რომ, როცა ტილზიტში ნაპოლეონს დიდს და მეფე ალექსანდრეს ერთმანეთ შორის ძველი ხმელეთის (ევროპის) განაწილების შესახებ მსჯელობა ჰქონდათ, დიდი იმპერატორი თანახმა იყო,—რუსეთის მეფისათვის დუნაის განაპირა ადგილები დაეთმო, მაგრამ კონსტანტინეპოლის დათმობის შესახებ-კი უარს ამბობდა. ამ ჟამად ამბობენ, რომ აღმოსავლეთის საქმე ევროპის დიდ სახელმწიფოებმა თანხმობით უნდა გარდასწყვიტონო; ეს ოცნებაა! დანარჩენი დიდი სახელმწიფონი აქამდის მუდამ იმ აზრისანი იყვნენ, რომ რუსეთს კონსტანტინეპოლის დაპყრობის ნებას ნუ მივცემთო.

1854 წელს მეფე ნიკოლოზი, დასავლეთ ევროპის დიდ სახელმწიფოთა შეერთებულის ლაშქრის ყირიმზედ თავს დასხმისა გამო, იძულებულ იყო,—თავისი მხედრობა შეეჩერებია. 1878 წელს მეფე ალექსანდრე სან-სტეფანოში შეჩერდა, ოსმალეთის იმპერია გადარჩა და აღმოსავლეთის საქმე გადაუწყვეტელი დარჩა. ეს დაუსრულებელი საქმე, რომელიც ყველას შიშის ზარსა ჰგვრის, ერთხელ და სამუდამოდ უნდა გარდასწყდეს; ამ საგნის გარდაწყვეტა ჩვენ მამაცურად უნდა ვიკისროთ და არა ერთის წლიდგან მეორესთვის და ერთის ჩამომავლობისაგან მეორესთვის უნდა გადავდვათ ხოლმე. 1856 წ. პარიზის კონგრესზედ დიდ სახელმწიფოთ ყოველივე ღონისძიება იხმარეს, რომ ოტომანის იმპერიას არა ჩამოსცლოდა-რა. ამ მეცადინეობამ ტყუილა ჩაიარა; სისხლის ღვრამ და აუარებელ ფულის დახარჯვამ ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოიღო, რადგან 1871 წ. ლონდონის კონფერენციამ რუსეთს ყოველივე დაუბრუნა, რაც იმას წინაზედ ჩამოერთვა. გერმანიას უნდა დაეჯილდოებია რუსეთი, რადგან იმან საფრანგეთთან ომის დროს მას ხელი არ შეუშალა.

ამ ჟამად ჩვენს წინაშე ისევ აღმოსავლეთის საქმეა. ორის წლის განმავლობაში სომხეთში გამუდმებით ხალხის ჟლეტის შემდეგ ამ გვარივე უბედურება კრიტის კუნძულზედ დატრიალდა. ოსმალთა სისასტიკე და შეუბრალებლობა იმ სახითვე მძვინვარებს, როგორც ეს წინა დროებში იყო ხოლმე; ამის გამო ბალკანეთის მკვიდრნი მზად არიან,—ამბოხება მოახდინონ. რა შედეგი ექმნება ამ საშინელ ტრაგედიას? ნუ თუ დიდნი სახელმწიფონი იმით დაკმაყოფილდებიან, რომ ამ „შავს ჭირს“, რომელიც დღითი-დღე უფრო და უფრო ვრცელდება, უბრალო რამ წამალი დაადონ? ჩემს მეგობარს ბისმარკს ამის პასუხი არ გაუძნელდებოდა. იმის აზრით, რუსეთი რომ კოსტანტინეპოლის მპყრობელი გახდეს, მაშინ უფრო უძლური იქმნება, ვიდრე ამ ჟამად ყინულებს შუა გამომწყვდეული, და ევროპა მაშინ უფრო გულ-დამშვიდებით შეებრძოლება მას იმ იმედით, რომ უეჭველად დავამარცხებო. მე თუ მკითხავთ, ამნაირს ცდას არაოდეს არ მოვიწადინებდი; მე სულ სხვა რიგად უყურებ ამ საქმეს.

იტალიის ეროვნული პარტია, რომელსაც, როგორც ერთი მცირე ვინმე, მეც ვეკუთვნოდი, იმ აზრის არის, რომ ბალკანეთის ერთა შორის კავშირი შესდგეს, რომლის სატახტო ქალაქი კონსტანტინეპოლი უნდა იქმნეს. ამ კავშირს მიემხრობა რუმინია, ბოლგარია, სერბია, საბერძნეთი და ჩერნოგორია, რომელთა თავისუფლება და დამოუკიდებლობა ევროპამ კარგა ხანია აღიარა. თუ გნებავთ, შეადგინეთ სხვა სახელმწიფო ანუ ამ სახელმწიფოთ შეუერთეთ ის ხალხნი, რომელნიც პირველების ეროვნებას ეკუთვნიან და მათთან ერთად ერთს და იმავე ენაზედ ლაპარაკობენ და ერთისა და იმავე სარწმუნოებისანი არიან. ამ ქვეყნებში წეს-რიგი მუდამ დამყარებული იქმნება. მაჰმადიანები თუ მოისურვებენ იმათთან ძმურად ცხოვრებას და არა ვითარცა ბატონები, შეეძლებათ დარჩნენ იქ. სულთანი აზიაში უნდა წავიდეს. ამნაირად აღმოსავლეთის საქმე სამუდამოდ გარდასწყდება და ევროპაში მშვიდობიანობა აღარ დაირღვევა. ბალკანეთის კავშირი ხელ-უხლებელი უნდა იქმნეს და არც ის უნდა მიემხროს რომელიმე სახელმწიფოს.

## დამაკვირდი

ულმობელი კაცი თვითვე თავისის ბედის მჭედელი.

პლატონი

***

დედათა უმეტესი ნაწილი მშვიდი და წყნარი უფრო სახლს გარეთ არის, ვიდრე თავისს სახლში.

ტაციტი

***

ვიდრე ჰსუნთქავს ადამიანი, იმედოვნებს კიდეც.

ციცერონი

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

ამ ჟამად მეცნიერნი იმის კვლევა-ძიებას შეუდგნენ, ყოველთვის ასე ათბობდა და ანათებდა მზე დედამიწას, როგორც ეხლა, თუ არა? არაო, ამბობენ მეცნიერნი და კიდევაც გამოუანგარიშებიათ, რომ ცხრა მილიონის წლის წინად მზის გული ერთი ორად მეტი ყოფილა და სიპრტყე ერთი ოთხად მეტი ჰქონია, ვიდრე ეხლა, და ამიტომაც ერთი ოთხად მეტად ანათებდა და ათბობდა დედამიწასაო. თამამად შეგვიძლიან ვსთქვათო, ამტკიცებენ მეცნიერნი, რომ 10 მილიონის წლის წინად დედამიწაზე არა თუ ცხოველი ან მცენარე რამ არა ყოფილა, არამედ წყალიც-კი არ იქმნებოდაო.

ასევე მოხდება 10 მილიონის წლის შემდეგაც. მზე თანდათან გაცივდება, შეიკუმშება, დაპატარავდება და დედამიწას ერთი ოთხად მოაკლდება სითბო და სინათლე, წყალი ყველგან გაიყინება და შესაძლებელია, სიცოცხლეც მოისპოს. თვით მზეც არა ყოფილა უკვდავი. დრო და ჟამი თანდათან დააკლებს სინათლეს და, როცა იქმნება, ჩაქრება კიდეც. მაგრამ ამით ჯერ ქვეყანას ბოლო არ მოეღება. ის პლანეტები, რომლებიც ეხლა მზეს დასტრიალებენ, ზედ დაეცემიან მზესა. ხომ მოგეხსენებათ, რომ თუ ერთი საგანი რამ მეორეს დაარტყით, მცირეოდენი სითბო უნდა გაჩნდეს და რაც უფრო ძლიერად შემოჰკრავთ ერთს საგანს მეორესა, მით უფრო მომეტებული სითბო გაჩნდება. თუ მართლა დედამიწა და პლანეტები მზეს დაეცა, კვლავ ისეთი სითბო გაუჩნდება მზეს, რომ კიდევ ვინ იცის, რამდენს ხანს გაანათოს ქვეყანა და კვლავ გამოიწვიოს სიცოცხლე სხვა პლანეტებზედ. მაგრამ ამასაც ოდესმე ბოლო მოეღება. მზე კიდევ 10 ათასს წელს გაანათებს ქვეყანას და მერე ხელ-მეორედ სამუდამოდ ჩაქრება.

მაშინ-კი ყველგან და სრულიად მოისპობა სიცოცხლე. დედამიწას, მთვარეს, პლანეტებს ბოლო მოეღებათ. მაგრამაო, ამბობენ მეცნიერნი, შესაძლებელია, მზეს ეხლა მეორე მზე შეხვდეს და ერთმანერთს დაეჯახნენ. მაშინ კვლავ გაჩნდება სითბო, გაჩნდება ახალი მზე, მთვარე, სიცოცხლე, კვლავ გაჩნდება ადამიანი და ჩვენსავით დაიწყებს კვლევა-ძიებას.

ეხლა ეს ვიკითხოთ, შესაძლებელი-კი არის, რომ ასე ყოველთვის განახლდეს ქვეყნიერება და როდისმე ბოლო არ მოელოს? არაო, ამტკიცებს ზოგი მეცნიერი. ამ განახლებაში ქვეყნიერებას თანდათან ძალღონე გამოელევა და ოდესმე საუკუნოდ ბოლოც მოეღებაო. მოვა დრო, როდესაც მოისპობა ქვეყნიერობაზედ სითბოს მეტნაკლებობა და, მაშასადამე, ბოლო მოეღება პლანეტების ყოველ გვარ მოძრაობას. და თუ მოძრაობა აღარ იქმნება, მაშინ არ იქმნება არც სითბო, არც სინათლე და არც სხვა რამ ძალა, რომლითაც ეხლა სცოცხლობს ქვეყანა.

ზოგი მეცნიერი-კი ასე სჯის: ვიდრე მოძრაობა საუკუნოდ შეჩერდებოდეს, ვინ იცის, რამდენმა დრომა და ჟამმა უნდა განვლოს, და შესაძლებელია, ათას გვარი რამ ცვლილება მოხდეს, ეხლანდელი კანონები ქვეყნიერებისა სრულიად შეიცვალოს და ქვეყნიერება სულ განახლდეს და სულ სხვა გზასა და კვალს დაადგესო. („ჰ. ი ლ.“)

## ღია წერილი

გაზეთ „Новое Обозрѣніе“-ს რედაქტორის მიმართ.

გუშინდელს, 13 მარტის, „Новое Обозрѣніе“-ში პასუხს აძლევთ რა „ივერიას“, ბოლოს დასძენთ: „ხომ არ გვიშლის ბ-ნთ ახნაზაროვებისა, ფარნაოზებისა და სხვათა „ივერიის“ რედაქციაში ყოფნა ამ პატივცემულ გაზეთის ზოგიერთს აზრს სრულიად ვეთანხმებოდეთო“. გეკითხებით, ბ-ნო რედაქტორო, ბ-ნ ახნაზაროვის სახელი აქ რა შუაშია? ბ-ნ გუნიას მიერ აღძრულ საგნის სჯა-ბაასის დროს, „ახნაზაროვი“-ს ხსენება ან-კი ყოფილა საჭმე? მაშ ასე უადგილოდ ჩემის გვარის ხსენება რამ გამოიწვია? რაო ვითომ, ამითი საგანი გამოირკვევოდა, თუ ვისთვისმე გინდოდათ გეცნობებინათ, რომ აგერ ახნაზაროვსაც სომხური გვარი აქვს და „ივერია“-ს ემსახურება, თუმცა ეს გაზეთი სომხების წინააღმდეგიაო? ან იქნება მაგითი ჩემი დამცირება გინდოდათ: ახნაზაროვი „ივერია“-შია (თუმცა არ ვიცით, რომელმა კოდელ ნინომ გიკითხათ ჩემი „ივერიაში“ ყოფნა) და ჩვენ-კი ამ გაზეთის ზოგიერთს აზრს ვეთანხმებითო. ვთქვათ „ივერიის“ რედაქციაში ვარ, ვითომ მე რომ იქ არ ვიყო, „ივერიის“ ყველა აზრს დაეთანხმებოდით, თუნდა იმასაც, რომ ტფილისი სომხეთის დედა-ქალაქი არ არისო? ან იქნება ასე უმიზეზოდ ჩემი ხსენება ზრდილობამ ლიტერატორისამ გაქმნევინათ? რომელია ამათში, ერთი, მეორე, თუ მესამე? ეგ არ ვიცი, მაგრამ ეს-კი უნდა მოგახსენოთ, რომ ასეთი საქციელი ვერაფერი ზრდილობაა „გაფრთხილებულის“ გაზეთის რედაქტორისათვის, თუ თვით ბ-ნი თუმანიშვილ-თუმანიანციც დაგვეთანხმება.

ა. ახნაზაროვი

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 მარტი

**ბერლინი.** 2,000-მა სტუდენტმა მაშხალებით სეირნობა გამართეს. სასახლესთან რომ მივიდნენ, იმპერატორმა სტუდენტებისაგან მიიღო დეპუტაცია, რომელმაც განუცხადა მას გრძნობანი ერთგულ-ქვეშევრდომობისა.

**ბერლინი.** დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე ბერლინიდგან წაბრძანდა. იმპერატორმა მისი უმაღლესობა რკინის გზის სადგურამდე მიაცილა.

**კონსტანტინეპოლი.** დარდანელში, ლიპსაკთან მდგომ სამხედრო გემებს ხმელთა-შუა ზღვაში წასვლა ებრძანათ.

**კანეა.** ადმირალებმა გამოსცეს ახალი პროკლამაცია და ურჩევენ აჯანყებულთა და საბერძნეთის ჯარებს, მოერიდეთ თავს დაცემას ოსმალეთის ნავთ-სადგურებზედ, რადგანაც საჭიროა დაცულ იქმნას წესიერება იქ, სადაც უცხო სახელმწიფოთა ჯარები გადმოსხდნენო.

13 მარტი

**პეტერბურგი.** სამშაბათს, 11 მარტს, წავიდნენ პეტერბურგიდგან შავის ჭირის წინააღმდეგ ღონისძიებათა მისაღებად დაარსებულ კომისიის რწმუნებულნი: სენატორი ლიხაჩევი—ნიჟნი-ნოვგოროდში, გენერალ-ლეიტენანტი ვასმუნდტი—ბათუმში. მათთან ერთად წავიდნენ ექიმები, აფიცრები, სამოქალაქო მოხელენი და ქვეითა ჯარის კაცნი. შავის ჭირის საწინააღმდეგო საბრძოლველად დაარსებულ კამისიის თავმჯდომარის ბრძანებით მომზადებულ იქმნა შავის ჭირის საწინააღმდეგო წამალი — შედედებული სისხლი. ყველაზედ მეტი შედედებული სისხლი გაეგზავნა პროფესორს ვისოკოვიჩს ბომბეიში; თეოდოსიის საკარანტინო ოლქის უფროსს გიუბნერს, კომისიის წევრს თავადს შახოვსკის, ბათუმის კარანტინის დირექტორს, თურქისტანის გენერალ-გუბერნატორს, ბარონ ვრევსკის და იმიერკასპის ოლქის გენერალ-ლეიტენანტს კუროპატკინს ყველას 10 შუშა შედედებული სისხლი.

**პარიზი.** რესპუბლიკის პრეზიდენტმა, სახსოვრად მათის იმპერატორებით უდიდებულესობათა მიბრძანებისა საფრანგეთში, გაუგზავნა რუსეთის მთავარ-ელჩს კარცოვს სევრის ხელოვნების ქანდაკება, რომელიც წარმოადგენს დედის სიყვარულს.

**ლონდონი.** „Standard“-ს დეპეშით სწერენ კანეიდგან: „ადმირალთა მიერ გამოცხადებულ პროკლამაციის ძალით საბერძნეთის გემებს, რომლებიც იმ ადგილას აღმოჩნდებიან, სადაც ალყა არის შემორტყმული, ისე მოექცევიან, ვითარცა მტრის გემებს, რომელთაც უცხოელთა გემები ზარბაზნებს დაუშენენ, თუ ვინიცობაა ზარბაზნის სროლის მანძილზედ მოვიდნენ.

**კონსტანტინეპოლი.** 7 მარტს, ტოკატში მომხდარ ბრძოლის დროს ასი სომეხი მოჰკლეს. ელჩებმა მიჰმართეს პორტას და სასტიკად მოსთხოვეს, რომ დამნაშავენი დაპატიმრებულ და დასჯილ იქმნენო. ტოკატში იგზავნება კამისია საქმის გამოსაძიებლად.

**პარიზი.** პალატა შეუდგა იმ კანონ-პროექტის განხილვას, რომელიც შეეხება ჯარის სარდლობის განწესრიგებას.


## განცხადებანი

ყვავილებისა და ხეხილების გასაშენებელი ბაღი

ქ. ფ. გლავაჩევისა

(მდინარე ვერაზე, ხიდის გაღმა, მარჯვნივ) ისყიდება ნამყენი ხეხილები, კვიპაროზისა და მრავალი სხვა მშვენიერი ხეხილი და ბუჩქები.

თესლეულობის მაღაზიაში,

გოლოვინის პროსპექტზედ (სახლი დობრჟანსკისა) ისყიდება ახალი თესლები ყვავილებისა და საბოსტნე; უმრავლესი ნაწილი თესლისა საკუთარი ბაღიდგან არის.

(6—86—3)

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში ცხოვრება და სასწაულთ-მოქმედება

სვიმონ მესვეტისა

გამოცემა წყალ-წმინდის ძმობისა.

ფასი ერთი შაური

(3—6.—3)

XXVIII г. **продолжается подписка на** 1897 г.

ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ЖУРНАЛЪ

„НИВА“

выходящій еженедѣльно, со многими безплатными приложеніями.

**Гг. подписчики „НИВЫ“ получатъ въ теченіе 1897 года:**

**52 №№** художественно-литературнаго журнала «Нива», заключающаго въ себѣ въ теченіе года около 1500 столбцовъ текста и 500 гравюръ и рисунковъ.

**12 ТОМОВЪ** собранія романовъ, повѣстей и разсказовъ

П. Д. БОБОРЫКИНА,

избранныхъ авторомъ и „Нивою“ изъ числа лучшихъ его произведеній и представляющихъ все наиболѣе выдающееся и цѣнное, что было написано П. Д. Боборыкинымъ въ послѣднія 25 лѣтъ, начиная съ появленія его извѣстнаго романа „Китай-городъ“.

Собраніе романовъ, повѣстей и разсказовъ П. Д. Боборыкина будетъ отпечатано на хорошей глазированной бумагѣ, въ 12 томахъ, которые, подъ заглавіемъ „Сборникъ Нивы“, будутъ выходить въ началѣ каждаго мѣсяца и заключать въ себѣ:

Томъ I. „Китай-городъ“. Романъ въ 5-ти книгахъ. Томъ II. „Безъ мужей“. Повѣсть. „Псарня“. Разсказъ. „Умереть—уснуть“. Разсказъ. „Пристроился“. Повѣсть. „Безвѣстная“. Разсказъ. Томъ III. „По чужимъ людямъ“. Разсказъ. „За красненькую“. Разсказъ. „Послѣдняя депеша“. Разсказъ. „Три афиши“. Разсказъ. „Голубой лифъ“. Разсказъ. „У плиты“. Разсказъ. „Изъ новыхъ“. Романъ въ 3-хъ частяхъ. Часть I. Томъ IV. „Изъ новыхъ“. Романъ въ 3-хъ частяхъ. Части II и III. Томъ V. „На ущербѣ“. Романъ въ трехъ частяхъ. Томъ VI. „Обречена“. Повѣсть. „Проѣздомъ“. Повѣсть «Вторая отъ воды». Разсказъ. „Въ отъѣздъ“. Разсказъ. Томъ VII. „Перевалъ“. Романъ въ 3-хъ част. Части I и II. Томъ VIII. „Перевалъ“. Романъ въ 3-хъ част. Часть III. „Съ убійцей“. Повѣсть. „Горленки“. Разсказъ. Томъ IX. „Ходокъ“. Романъ въ 3-хъ частяхъ. Томъ X. „Поумнѣлъ“. Повѣсть. „Измѣнникъ“. Повѣсть. „Морзъ и Юзъ“. Разсказъ. Томъ XI. „Ранніе выводки“. Повѣсть. „Трупъ“ Разсказъ. „Василій Теркинъ“. Романъ въ 3-хъ част. Часть I. Томъ XII. „Василій Теркинъ“. Романъ въ 3-хъ част. Части II и III.

**При первомъ томѣ будетъ приложенъ гравированный на стали Ф. А. Брокгаузомъ въ Лейпцигѣ портретъ съ автографомъ П. Д. Боборыкина.**

**12 КНИГЪ** „Ежемѣсячныхъ литературныхъ приложеній“, которыя будутъ выходить при „Нивѣ“ въ серединѣ каждаго мѣсяца и содержать въ себѣ романы, повѣсти, разсказы и проч. современныхъ авторовъ.

**12 №№** „**парижскихъ модъ**“, выходящихъ ежемѣсячно и содержащихъ до 300 модныхъ гравюръ.

**12 ЛИСТОВЪ** рукодѣльныхъ и выпильныхъ работъ (около 300) и до 300 чертежей выкроекъ въ натуральную величину, выходящихъ ежемѣсячно.

„**стѣнной календарь**“ на 1897 г., печатанный красками.

**Подписная цѣна** на годовое изданіе „Нивы“ со всѣми вышеозначенными приложеніями: безъ доставки въ СПБ. 5 р. Съ доставкою въ СПБ. 6 р. 50 к. Безъ доставки въ Москвѣ (въ конт. Н. Н. Печковской) 6 р. Съ пересылкою во всѣ города и мѣстности Россіи 7 р. За-границу 10 р.

**Каждый новый подписчикъ получаетъ журналъ съ 1-го № со всѣми приложеніями.**

Требованія просятъ адресовать въ С.-Петербургъ, въ главную контору журнала „Нива“ (А. Ф. Марксу), Малая Морская, д. № 22.


## ანგარიში

ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა.

1 თებერვალს, 1897 წლისას.

(საზოგადოებამ დაიწყო თავისი მოქმედება 1895 წლის 17 ივლისს)

აქტივი.

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. | საზოგადოების კასსა | 3798 | 02 |
| II. | მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში | 5491 | 18 |
| III. | „ „ „ა. ფრიდონოვისა და ამხ.“ საბანკო კანტორაში | 2479 | 06 |
| IV. | განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი | 119745 | — |
| V. | განაღდება ვადიან %-იან ქაღალდებისა, კუპონებისა და სხ. | 130 | — |
| VI. | გირაოთი გაცემული სესხი: | | |
| | ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ. ფას. ქაღალ. 384— — | | |
| | ბ) სასოფლო სამეურნეო ნაწარმ. 3420— — | 3804 | — |
| VII. | საზოგადოების მიმდინარე ხარჯი | 2457 | 29 |
| VIII. | დასაბრუნებელი ხარჯი | 194 | 27 |
| IX. | მოწყობა მომართვა | 978 | 57 |
| X. | გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი | 22 | 55 |
| XI. | ანგარიში მოგებისა და ზარალისა | 1255 | 98 |
| | ს უ ლ | 140355 | 92 |

პასსივი.

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. | თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 537 წევრთაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულიდგან | 60402 | — |
| II. | შემოტანილი ფული: | | |
| | ა) მიმდინარე ანგარიშით 21919—18 | | |
| | ბ) ვადით 19620— — | | |
| | გ) უვადოდ 10000— — | 51539 | 18 |
| III. | მიღებული სარგებელი და კომისიის ფული, გარდახდილს გარდა | 656 | 69 |
| IV. | გარდასაცემი თანხა | 2668 | 46 |
| V. | გარდასახდელი სარგებელი | 388 | 98 |
| VI. | გადაგირავება თამასუქებისა | 24700 | — |
| VII. | სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა | | 61 |
| | ს უ ლ | 140355 | 92 |
| | პასუხის-მგებლობა 537 წევრისა 10%-იან შემოსატანს გარდა | 543618 | — |
| | საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება | 3400 | — |

(1—6.—1)